საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N01-9161/ო ბრძანებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული საკითხების საკოორდინაციო საბჭოს სხდომის

ოქმი

7 ივნისი, 2019 წელი

თავმჯდომარე - ზაზა ბოხუა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

- თამარ გაბუნია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
- გიორგი წოწკოლაური - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
- კახაბერ ძიმისტარიშვილი - სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
- მარინა დარახველიძე - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი;
- ნოე ქინქლაძე - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;
- მამუკა სონღულაშვილი - მინისტრის მრჩეველი;
- ლაშა ნიკოლაძე - მინისტრის მრჩეველი
- დავით ტორუა - სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ დირექტორის მოადგილე
- ნინო ოკრიბელაშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოადგილე
- გოჩა ბაკურაძე - შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ ხელმძღვანელი

საბჭოს სხდომის მდივანი: ქეთევან გოგინაშვილი - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი

დღის წესრიგი

1. **შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტ რის“ საპრივატიზებო ვალდებულებების ვადის გაგრძელების საკითხი**
2. **საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის N10 დადგენილების საფუძველზე გამოყოფილი სუბსიდირების ფარგლებში, დმანისის სამედიცინო დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოების ჩატარების საკითხი (სამეანო მიმღების, ფთიზიატრიული კაბინეტის, სახანძრო კიბის და გათბობა/ვენტილაციის სისტემის მოწესრიგება)**

3. „ნიკო მიქაიას სახელობის ჩხოროწყუს სამშობიარო სახლის“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, შპს „ჯვრის საავადმყოფო „ენგურჰესის“ შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ საკუთრებაში რეგისტრაციის საკითხი
4. ბორითის სამედიცინო ცენტრის, შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ და ლანჩხუთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი შპს „ნევრონის“ ერთი მენეჯმენტის ქვეშ გაერთიანების საკითხი

მომხსენებელი ოთხივე საკითხზე: მარინა დარახველიძე, ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი

პირველი საკითხი: შპს „აკად. ბ.ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ საპრივატიზებო ვალდებულებების ვადის გაგრძელების საკითხი

საბჭოს წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა მოისმინეს ქალბატონ მარინა დარახველიძის ინფორმაცია შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ საპრივატიზებო ვალდებულების, კერძოდ ქუთაისში 2 (ორი), ფოთში 1 (ერთი), სენაკში 1 (ერთი), ჯამში არანაკლებ 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) ბენეფიციარზე გათვლილი 4 (ოთხი) (თითოეული არაუმეტეს 24 ბენეფიციარზე გათვლილი) საცხოვრისის შექმნის ვადის ცვლილებასთან დაკავშირებით.

იმ მოსაზრებით, რომ 2022 წელს დაგეგმილია CPT-ის ვიზიტი საქართველოში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ზემოაღნიშნული საცხოვრისების სერვისების შექმნის ვადად განსაზღვრა 2021 წლის 1 ივლისი (სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ წერილი N4/30829 23.05.2019).

თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით, ინვესტიციის განმახორციელებს გამოეკვეთა ბანკის ვალდებულებების დადასტურების ფორმალიზაციის პრობლემა. აქვე აღინიშნა, რომ ძირი ვალდებულების („საწარმოს“ საკუთრებაში არსებულ №37.10.33.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე არანაკლებ 454 საწოლის შექმნა) შესრულების ვადა არის 2022 წლის პირველი ივლისი.

საავადმყოფოს ხელმძღვანელის, გოჩა ბაკურაძის ინფორმაციით, პროექტი ხორციელდება ქართუ ჯგუფის ფინანსური მხარდაჭერით. ბანკმა დაინახა საფრთხე ვადების ცვლილებასთან დაკავშირებით. ინვესტორის ინფორმაციით, მათი ინტერესია პროექტის სწრაფად დასრულება და ფსიქიატრიის სახელმწიფო პროგრამაში საცხოვრისის სერვისების დროული ინტეგრაცია. მათი სამოქმედო გეგმით, საცხოვრისების სრულად დასრულება იგეგმება 2021 წლის ბოლომდე, თუმცა იტოვებს ექვსთვიან დროის შუალედს პროექტის ჩაბარების და სხვადასხვა ვალდებულებების დადასტურების ფორმალიზებისთვის.

მისი ინფორმაციით, ქუტირში უკვე დასრულდა 100 საწოლზე გაშლილი კორპუსი, წლის ბოლომდე იგეგმება კიდევ 2 კორპუსის რეაბილიტაციის დასრულება, სადაც განთავსდებიან არანებაყოფლობით და იძულებით მკურნალობაზე მყოფი პირები.

ქალბატონი თამარ გაბუნიამ აღნიშნა, რომ დაათვალიერა „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ტერიტორია, სადაც უკვე დასრულდა 100 საწოლზე გაშლილი კომპლექსი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. ასევე მიმდინარეობს ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები კიდევ ორ კორპუსში.

იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტორის ინტერესია მშენებლობის დროული დასრულება და მათ მიერ უკვე შექმნილი წარმატებული პროექტები ბათუმსა და ქუტირში, ბატონმა ზაზა ბოხუამ წინადადებით მიმართა საბჭოს წევრებს კენჭი ეყარათ ვადების ცვლილების საკითხს.

აზრთა ურთიერთგაცვლის საფუძველზე, საბჭოს მიერ დღის წესრიგის განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მიღებული იქნა **გადაწვეტილება**:

1. შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ საპრივატიზებო ვალდებულების - ქუთაისში 2 (ორი), ფოთში 1 (ერთი), სენაკში 1 (ერთი), ჯამში არანაკლებ 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) ბენეფიციარზე გათვლილი 4 (ოთხი) (თითოეული არაუმეტეს 24 ბენეფიციარზე გათვლილი) საცხოვრისის შექმნის ვადად განისაზღვრა 2022 პირველი ივლისი.

მე-2 საკითხი: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის N10 დადგენილებით დამტკიცებული სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში, დმანისის სამედიცინო დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოების ჩატარების საკითხი (სამეანო მიმღების, ფთიზიატრიული კაბინეტის, სახანძრო კიბის და გათბობა/ვენტილაციის სისტემის მოწესრიგება)

ქალბატონი მარინას ინფორმაციით, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორმა, ბატონმა ნუგზარ ბოლქვაძემ წერილობით მომართა სამინისტროს (წერილი ბატონ გიორგი წოწკოლაურის სახელზე, N13/453 28.05.2019), სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში დმანისის სამედიცინო დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით.

დმანისის სამედიცინო ცენტრის ფუნქციონირებისთვის, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სამეანო მიმღების, ფთიზიატრიული კაბინეტის, სახანძრო კიბის და გათბობა/ ვენტილაციის სისტემის მოწესრიგება. სამეანო და ფთიზიატრიული კაბინეტის მოწყობა-21,191.19 ლარი; სანტექნიკა-6,299.41 ლარი; ელექტროობა-2,177.18 ლარი; პანდუსისა და კიბის მოწყობა სამეანო მიმღებამდე-7,613.74; სახანძრო კიბის მოწყობა-7,177.57; ფთიზიატრიულ კაბინეტთან მისასვლელი პანდუსის მოწყობა-8,872.96 ლარი და გათბობა/ გაგრილების სისტემის რეაბილიტაცია-48,358.17 ლარი.

იმის გათვალისწინებით, დმანისში მოქმედი სამედიცინო ცენტრი წარმოადგენს რეგიონის მოსახლობისთვის სამედიცინო სერვისების ერთადერთ მიმწოდებელს, მნიშვნელოვანია სამეანო და ფთიზიატრიული სერვისების შენარჩუნება, რომლისთვისაც აუცილებელია სანებართვო პირობების დაცვა.

ბატონი გიორგი წოწკოლაურმა აღნიშნა, რომ დმანისის სამედიცინო ცენტრის მფლობელის ვალდებულება იყო ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარება და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. მიუხედავად ამისა, 2018 წლის აგვისტოში გამოსყიდვა ისე განხორციელდა, რომ არ შესრულდა ზოგიერთი პირობა და ამჟამად საქმე სასამართლოშია. მისი წინადადებაა, სერვისების უწყვეტობის მიზნით განხორციელდეს დმანისის სამედიცინო დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა პარალელურად შიდა აუდიტის დეპარტამენტმა შეიწავლოს ცენტრის გამოსყიდვის პროცესი.

საბჭოს მიერ დღის წესრიგის განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მიღებული იქნა **გადაწვეტილება**:

1. სამეანო და ფთიზიატრიული სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდეს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დმანისის სამედიცინო დაწესებულების რეაბილიტაცია სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში.
2. შიდა აუდიტის დეპარტამენტმა შეისწავლოს შპს „ალიანს მედი+“-ის კუთვნილი ქონების გამოსყიდვის საკითხი

მესამე საკითხი: „ნიკო მიქაიას სახელობის ჩხოროწყუს სამშობიარო სახლის“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, შპს „ჯვრის საავადმყოფო „ენგურჰესის“ შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ საკუთრებაში რეგისტრაციის საკითხი

ქალბატონმა მარინა დარახველიძემ საბჭოს წევრება მიაწოდა ინფორმაცია განსახილველ მესამე საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოვიდა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ კორესპონდენცია (N5/24850, 24.04.19), რომელსაც თან ახლდა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტბში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის (N01/544, 12.04.19), ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის (N865, 04.04.19), შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ (ს/ნ 211362461), შპს „ბლოკ-ინვესტის“ (ს/ნ 205221909) და შპს „მედიმექსის“ (ს/ნ 211355503) წერილები (N0403/19-028, 04.03.19), სს „ნიკო მიქაიას სახელობის ჩხოროწყუს სამშობიარო სახლის“ მესაკუთრეებისთვის: შპს „ბლოკ-ჯორჯიასთვის“, შპს „ბლოკ-ინვესტისთვის“ და შპს „მედიმექსისთვის“ საზოგადოების აქციათა 100% წილის სანაცვლოდ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში, სტალინის ქ. N20-ში მდებარე შპს „ჯვრის საავადმყოფო „ენგურჰესის“ გადაცემის თაობაზე, შემდგომში სახელმწიფოსთვის გადაცემული ქონების (სს „ნიკო მიქაიას სახელობის ჩხოროწყუს სამშობიარო სახლის“ აქციათა 100% წილი) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 10 აპრილის N1226-პ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის წესით, შპს „ბლოკ-ჯორჯიას“, შპს „ბლოკ-ინვესტს“ და შპს „მედიმექსს“ საკუთრებაში გადაეცა მთელი რიგი ქონება, მათ შორის ქ. ჩხოროწყუში, ნაჭყებიას ქ. N11-ში მდებარე სს „ნიკო მიქაიას სახელობის ჩხოროწყუს სამშობიარო სახლის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-

იანი წილი და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში, სტალინის ქ. N20-ში მდებარე შპს „ჯვრის საავადმყოფო „ენგურჰესის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი. თუმცა, შპს „ბლოკჯორჯიამ“ დღემდე ვერ შეძლო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში, სტალინის ქ. N20-ში მდებარე უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 8784.50 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) საკუთრებაში რეგისტრაცია.

ამასთან, შპს „ბლოკ-ჯორჯიამ“, შპს „ბლოკ-ინვესტმა“ და შპს „მედიმექსმა“ გამოსთქვეს მზაობა სს „ნიკო მიქაიას სახელობის ჩხოროწყუს სამშობიარო სახლის“ 100% წილის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადასცემაზე, თუ განხორციელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში, სტალინის ქ. N20-ში მდებარე უძრავი ქონების შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ საკუთრებაში რეგისტრაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ სს „ნიკო მიქაიას სახელობის ჩხოროწყუს სამშობიარო სახლი“ მუნიციპალიტეტში ერთადერთი სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის სამედიცინო დაწესებულებაა, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი დაინტერესებულია სს „ნიკო მიქაიას სახელობის ჩხოროწყუს სამშობიარო სახლის“ (ს/ნ 242261342) 100% წილის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის საკითხით. რათა შემდგომში, მუნიციპალიტეტმა საკუთარი ბიუჯეტიდან მოახდინოს დაწესებულების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, აღჭურვა და სწორი მენეჯმენტის განხორციელება მოსახლეობისთვის ხარისხიანი, უსაფრთხო, დროული და ეფექტიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით.

ქალბატონმა მარინამ ასევე აღინიშნა, რომ, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან“ კონსულტაციის შედეგად დადგინდა, რომ 2009 წელს შპს „ბლოკ-ჯორჯიას“, შპს „ბლოკ-ინვესტის“ და შპს „მედიმექსის“ საკუთრებაში გადაცემული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში, სტალინის ქ. N20-ში მდებარე შპს „ჯვრის საავადმყოფო „ენგურჰესის“ საკუთრებაში რეგისტრაცია არ მოუხდენიათ რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე (2012 წლის ბილო). შესაბამისად, ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემა, თუ სამინისტრო მიზანშეწონილად ჩათვლის და აღნიშნულის თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

საბჭოს მიერ დღის წესრიგის განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მიღებული იქნა **გადაწვეტილება**:

1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სამეანო სერვისების შენარჩუნებისთვის, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ ეთხოვოს დახმარება „ნიკო მიქაიას სახელობის ჩხოროწყუს სამშობიარო სახლის“ მესაკუთრეებისთვის: შპს „ბლოკ-ჯორჯიასთვის“, შპს „ბლოკ-ინვესტისთვის“ და შპს „მედიმექსისთვის“ საზოგადოების აქციათა 100% წილის სანაცვლოდ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში, სტალინის ქ. N20-ში მდებარე შპს „ჯვრის საავადმყოფო „ენგურჰესის“ გადაცემის თაობაზე, შემდგომში სახელმწიფოსთვის გადაცემული ქონების (სს „ნიკო მიქაიას

სახელობის ჩხოროწყუს სამშობიარო სახლის“ აქციათა 100% წილი) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

მეოთხე საკითხი: ბორითის სამედიცინო ცენტრის, შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ და ლანჩხუთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი შპს „ნევრონის“ ერთი მენეჯმენტის ქვეშ გაერთიანების საკითხი

ქალბატონი მარინა დარახველიძის ინფორმაციით, სახელმწიფოს პრიორიტეტია ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების დეცენტრალიზაცია და სათემო და საცხოვრისის ტიპის სერვისების განვითარების ხელშეწყობა. ბორითის სამედიცინო ცენტრში, რომელიც ამჟამად ნაკლებად დატვირთულია შესაძლებელია განხორციელდეს საცხოვრისის ტიპის სერვისების განვითარება გადაუდებელი სერვისესების პარალელურად.

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის მოსაზრებით, მართვის გაიოლებისა და ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვის მიზნით, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული და სახელმწიფო მართვაში მყოფი დაწესებულებები: ბორითის სამედიცინო ცენტრი, შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ და ლანჩხუთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი შპს „ნევრონი“ უმჯობესია გაერთიანდეს ერთი მენეჯმენტის ქვეშ. კომპეტენტურ ორგანოსთან (სსიპ - სახელმწიფო ქონების სააგენტო) კონსულტაციების შედეგად, ზემოაღნიშნული დაწესებულების ერთიან მართვაში თავმოყრა შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი გზით:

- ბორითის სამედიცნო ცენტრი

ბორითის სამედიცნო ცენტრის უძრავი და მოძრავი ქონების შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის კაპიტალიდან ამოღება და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ კაპიტალში შეტანა

- შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ბედიანი და სურამი)

ა) შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ 100% წილის შეტანა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ კაპიტალში (გახდება შვილობილი კომპანია).
ბ) შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ შერწყმა (მიერთებით), რის შედეგადაც სრული აქტივები (მოძრავი და უძრავი ქონება) გადავა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საკუთრებაში, ხოლო შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“, როგორც იურიდიული პირის რეგისტრაცია გაუქმდება.

- ლანჩხუთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი შპს „ნევრონი“ (არ აქვს საკუთარი უძრავი ქონება, გააჩნია მხოლოდ მოძრავი ქონება, იმყოფება რეგიონული ჯანდაცვის შენობაში, რომელიც არის იპოთეკით დატვირთული, ადითთან სადავო ქონება)

ა) შპს „ნევრონის“ 100% წილის შეტანა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ კაპიტალში (გახდება შვილობილი კომპანია)
ბ) შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ შპს „ნევრონის“ შერწყმა (მიერთებით), რის შედეგადაც მოძრავი ქონება გადავა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საკუთრებაში, ხოლო შპს „ნევრონის“, როგორც იურიდიული პირის რეგისტრაცია გაუქმდება.

ზემოაღნიშნულთან აღნიშნულთან დაკავშირებით, ბატონი გიორგი წოწკოლაურის წინადადებით, ამ ეტაპზე, მეტი ინფორმაციის მოძიების მიზნით, დროებით შეჩერდეს ბორითის სამედიცინო ცენტრში საცხოვრისის ტიპის სერვისების განვითარებისა და მისი საერთო მართვაში შეტანის საკითხის განხილვა. რაც შეეხება შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ და ლანჩხუთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი შპს „ნევრონის“ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ერთიან მენეჯმენტში გაერთიანებას, ამ ეტაპზე შეიძლება კენჭი ეყაროს წინადადებას, თუმცა გაერთიანების ფორმა შემდგომში იქნეს განხილული სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან“ დამატებითი კონსულტაციების შემდეგ.

საბჭოს მიერ დღის წესრიგის განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მიღებული იქნა **გადაწვეტილება**:

1. მოწონებულ იქნეს შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ და ლანჩხუთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი შპს „ნევრონის“ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ ერთიან მართვაში გაერთიანების საკითხი, თუმცა გაერთიანების ფორმასთან დაკავშირებით გადაწვეტილება საბჭომ მიიღოს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან“ დამატებითი კონსულტაციების შემდეგ.
2. ბორითის სამედიცინო ცენტრში საცხოვრისის ტიპის სერვისების განვითარების და აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ ერთიან მართვაში გაერთიანების საკითხთან დავშირებით გაგრძელდეს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან.

ბატონმა ზაზა ბოხუამ, დასასრულს, **შეაჯამა სხდომის მიმდინარეობა,** მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და მოწვეულ პირებს და სხდომა დახურულად გამოაცხდა.

საბჭოს თავმჯდომარე:

ზაზა ბოხუა, მინისტრის პირველი მოადგილე

საბჭოს მდივანი

ქეთევან გოგინაშვილი